# დღეს საპოროში საზეიმოდ აღიმართება XI „თეთრი თამაშების“ ალამი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 24 (4534)

1972 წ. 3 თებერვალი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ნ. გუგუშვილი საპოროდან ტელეფონით გვატყობინებს:

## ბრენდეჯის უცნაური აზრები

საპორო, 1 თებერვალი. თებერვლის პირველი დღე აქ მეტად დაძაბული გამოდგა. უკვე 8 საათსა და 30 წუთზე შეიკრიბნენ საორგანიზაციო კომიტეტისა და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები იმასთან დაკავშირებით, რომ ჰოკეისტთა მატჩების ვანრიგი ოლიმპიადაზე უთანაბროდაა განაწილებული. მაგალითად, 12 და 13 თებერვალს სსრ კავშირის ჰოკეისტებს მოუწევთ მეტად საპასუხისმგებლო მატჩების გამართვა თავიანთ ძირითად მეტოქეებთან — ჯერ შვედებთან, მეორე დღეს კი ჩეხოსლოვაკიელებთან. მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეისტთა მატჩების კალენდარი ერთობ უხეიროდაა შედგენილი, საორგანიზაციო კომიტეტი მისი შეცვლის წინააღმდეგია, ვინაიდან ამ თამაშებზე ბილეთების უმრავლესობა უკვე გაყიდულია და კალენდრის შეცვლა გარკვეულ სიძნელეებს წარმოქმნის. დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით გრძელდება.

ისევე, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ, კვლავ საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე სოკ-ის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის გამოსვლამ ზამთრის ოლიმპიური თამაშების გაუქმების ან ოლიმპიადის პროგრამის შეკვეცის თაობაზე. ასევე გაუგებარი იყო ბრენდეჯის პოზიცია ცნობილი ავსტრიელი სამთომოთხილამურე კ. შრანცის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა ხომ კარგად იცოდა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ათობით სამთომოთხილამურე გამდიდრებისთვის ხშირად იყენებს თავის სახელს და ამიტომ, თითქოს, მათი დისკვალიფიკაციაც იყო მოსალოდნელი. ეს საკითხი სოკ-ის სესიაზე მთელის სიცხადით არ იყო ვარკვეული, ასე რომ, შრანცის დისკვალიფიკაცია მეტად საეჭვოდ გამოიყურება სოკ-ის მესვეურთა გადაწყვეტილების ფონზე. საბჭოთა წარმომადგენელმა სესიაზე თავი შეიკავა კენჭისყრისას. სხვათა შორის, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ს. პავლოვმა განაცხადა, რომ შრანცის დისკვალიფიკაციისთვის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა და ეს საკითხი ერთობ საჭოჭმანოა.

შრანცთან დაკავშირებით ერთ დეტალს გავახსენებთ გრენობლის ოლიმპიური თამაშებიდან. მაშინ სპეციალურ სლალომში ბევრ სახელმოხვეჭილ ოსტატთან ერთად ავსტრიელი სამთომოთხილამურეც გამოდიოდა. იმ დღეს შამრუსში, სპეციალური სლალომის ტრასაზე წარმოუდგენელი ბურუსი იდგა. მოასპარეზეები როგორც სქელ ფაფაში, ისე ეშვებოდნენ სასტარტო ბაქნიდან ნისლში და შემდეგ ძნელი გზის უმეტეს ნაწილს ინტუიციით თუ მიიკვლევდნენ.

როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფრანგმა ჟან-კლოდ კილიმ მესამე დრო აჩვენა, ხმა დაირხა, რომ მისმა მჯობნმა შრანცმა და ნორვეგიელმა მიუენმა ორ-ორი კარი გამოტოვეს. წესების თანახმად, საჭირო იყო ამ ორი სპორტსმენის დისკვალიფიკაცია და ამასთან დაკავშირებით თამაშებზე ერთობ უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნა.

მაგრამ უნდობლობის ღრუბელი მეორე დღეს თვით შრანცმა გაფანტა: აღიარა, რომ პირველ სერიაში გამოტოვა მე-18 და მე-19 კარი.

ამრიგად ოქროს ოლიმპიური მედალი კილიმ მოიპოვა. მანამდე კი მან კორესპონდენტებს უთხრა:

— მერწმუნეთ, მაინცდამაინც არც დამწყდება გული ოქროს მედლის დაკარგვით — შრანცი ხომ დიდი ჩემპიონია!

ავსტრიის განათლების მინისტრმა, რომელიც ქვეყანაში სპორტის საქმეებსაც განაგებს, თანამემამულეებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. რასაკვირველია, ვერც ამ წინადადებას უწოდებ გონივრულს. საპოროს საღამოს გაზეთებში კი უკვე დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ ავსტრიელ სამთომოთხილამურეთა გუნდი მიატოვებს „თეთრ ოლიმპიადას“, თუკი მის პროტესტს არ დააკმაყოფილებენ.

დღეს საპოროში ჩამოვიდა მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ფილიპჩენკო, რომელსაც საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ფილიპჩენკო ზამთრის XI ოლიმპიადის საპატიო სტუმარია. პრესის დიდ სახლში კი სტუმრებს მასპინძლობდნენ საბჭოთა კავშირის დელეგაციის წარმომადგენლები — აქ გამართულ პრეს-კონფერენციას დაესწრო ასზე მეტი ჟურნალისტი ჩეხოსლოვაკიიდან, ავსტრიიდან, გდრ-იდან, კანადიდან, დასავლეთ გერმანიიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

2 თებერვალს საპოროში კვლავ ცუდი ამინდია მოსალოდნელი: ძლიერი თოვა, ქარბუქი, უამინდობა მეტისმეტად აწუხებთ რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს — ოლიმპიადის გახსნამდე ხომ სულ ცოტა ხანი დარჩა და ნებისმიერ პირობებში ისინი მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყვნენ.

ოლიმპიადის მოლოდინში განაგრძობენ ვარჯიშს სპორტსმენები. საბჭოთა ჰოკეისტები დასავლეთ გერმანიის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს 14:1. ყველაზე მეტი შაიბა (4) ა. ფირსოვმა გაიტანა. ამ საწვრთნელმა შეხვედრამ 6000 მაყურებელს მოუყარა თავი.

ჩინებული შედეგი აჩვენა 70-მეტრიან ტრამპლინზე შვედმა რ. ნორდგრენმა, რომელიც სამჯერ გადახტა ოთხმოცმეტრიან ზღვარს იქით, ხოლო მისი საუკეთესო ნახტომი 85,5 მეტრს უდრიდა. 18 წლის სვერდლოვსკელი „მფრინავი მოთხილამურე“ ს. იახინის შედეგი 82 მეტრი იყო. იაპონელთა ფავორიტი ი. კასაია ორჯერ გადახტა ტრამპლინიდან შესაბამისად 80 და 81,5 მეტრზე.

კანადის დელეგაცია შეშფოთებულია 20 წლის ფიგურისტის რუტ ჰატჩინსონის ტრავმის გამო. ერთ-ერთმა გაზეთმა ამ ამბისადმი მიძღვნილი ინფორმაცია ასე დაასათაურა: „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“. მართლაც, რა რჯიდა ოლიმპიურ სოფელში მიმავალ ამ ქალიშვილს გზა მოეჭრა და 60-სანტიმეტრიან მავთულის ღობეზე გადამხტარიყო? ახლა ხელი მას თაბაშირში უდევს და ალბათ „მაკომანაის“ ყინულის მოედანზე ვერ გამოვა.

## ოლიმპიური კალეიდოსკოპი

### წინ დენვერია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე ამერიკის ქალაქ დენვერიდან ერთდროულად ორი დელეგაცია ჩამოვიდა. როგორც იუპი-ს სააგენტომ განაცხადა, ერთი მათგანი წარსდგა პეტიციით — გაუქმდეს ამ ქალაქში 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე სოკ-ის გადაწყვეტილება.

მეორე დელეგაციამ კი, პირიქით, სესიას წარუდგინა მომავალი თამაშების ოფიციალური საბუთები, გეგმები და პროგრამები, აგრეთვე, ოლიმპიური იდეებისთვის თანაქალაქელთა მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა დენვერში ოლიმპიადის ჩატარების შესაძლებლობის დასტური, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა წარმოადგინა და დაადასტურა თავისი არჩევანი — ზამთრის XII ოლიმპიური თამაშები 1976 წელს დენვერში გაიმართება.

### კოლექციონერების გულის გასახარად

სპორტული სუვენირების მოყვარულებს ოლიმპიური მედლების, ნიშნებისა და მონეტების ძალიან მდიდარი არჩევანი აქვთ. უკვე იყიდება ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და, ასე განსაჯეთ, პლატინის სამახსოვრო მედლები, თანაც, ყველაზე ძვირფასი — პლატინისა — 100 ათასი იენი ღირს.

გამოშვებულია სამთომოთხილამურეების, ფიგურისტებისა და ბობსლეისტებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები. მათი გაყიდვის ნიშანი თამაშების გახსნის ცერემონია იქნება.

იყიდება, აგრეთვე, 100 იენად ღირებული „ოლიმპიური“ მონეტა, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია ოლიმპიური ცეცხლი, მეორე მხარეს კი 5 გადახლართული რგოლი.







● საპორო, 1 თებერვალი. „მაკომანაის“ სტადიონზე შემოაქვთ ოლიმპიური დროშა. ეს მოხდა „თეთრი თამაშების“ გახსნის საზეიმო ცერემონიალის რეპეტიციის დროს.

● იაპონელი სტუდენტები ხიდექი ტაკადა და იზუმი ცუძიმურა ოლიმპიურ ჩირაღდანს წაიღებენ „მაკომანაის“ სტადიონისკენ, სადაც საზეიმოდ გაიხსნება XI „თეთრი თამაშები“.

● გრენობლი. ზამთრის X ოლიმპიური თამაშები. ფრანგი ქალიშვილები სიმბოლურ ესტაფეტას — სამ წითელ ვარდს გადასცემენ XI ოლიმპიადის მასპინძლებს — იაპონელ ქალიშვილებს.

## ნიშნები, პრიზები, ბროლის თასი

ჟიტომირის მექანიკურმა ქარხანამ ზამთრის XI ოლიმპიადისადმი მიძღვნილი 30 ათასი სასუვენირო ნიშანი გამოუშვა. ნიშნების თეთრ ფონზე გამოსახულია ხუთი ოლიმპიური რგოლი, მოთხილამურის, მოციგურავის, ფიგურისტის, ჰოკეისტის ფიგურები.

ქარხნის ხელმარჯვე ოსტატებმა მხატვრებთან ერთად უკვე დაამუშავეს 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ორიგინალური სერია, რომელიც 15 ნიშნისგან შედგება.

ჟიტომირი.

ჰოკეის ნოვგოროდელმა მოყვარულებმა სსრ კავშირის ნაკრების საუკეთესო მოთამაშეებისთვის ორი პრიზი მოამზადეს. ერთი ჯილდო — ხეზე ნახატი — საავეჯო ფირმა „ნოვგოროდმა“ გააკეთა. საბჭოთა ნაკრების მეორე ჰოკეისტი ჯილდოდ მიიღებს ლეგენდარული ნოვგოროდელი ხალხის პატარა ქანდაკებას, რომლის ავტორები არიან ფაიფურის ქარხანა „პროლეტარის“ ოსტატები.

ნოვგოროდი.

„გამარჯვებით დაგვიბრუნდით“, — ეს სიტყვებია ამოტვიფრული ბრიანსკის „ტრუდის“ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მიერ შემზადებულ პრიზზე — ბროლის თასზე. იგი იმ საბჭოთა ოლიმპიელს გადაეცემა, რომელიც საპოროში ყველაზე მეტ მედალს მოიხვეჭს. ლარნაკი დიატკოვის ბროლის ქარხნის ოსტატებმა გააკეთეს მთავარი მხატვრის ე. შუვალოვის ხელმძღვანელობით.

თასს ახლავს წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„იმ დღეებში, როცა თქვენ შორეული იაპონიის სპორტულ სარბიელზე იასპარეზებთ, ჩვენ აქ შეჯიბრებები გვექნება თხილამურებში, ციგურებში, ჰოკეიში, ბიატლონსა და სხვა სახეობებში. დიდი გზა, როგორც ცნობილია, პირველი ნაბიჯით იწყება. ვიმედოვნებთ, რომ თავის დროზე ჩვენი რიგებიდანაც მოვა თქვენი შევსება. წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო. გამარჯვებულებს გელით“.

ბრიანსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ თიკანაძის დაბადების 65 წლისთავის გამო

# ქართველ ფალავანთა პატრიარქი

მუდამ მოფუსფუსე, სახემცინარი, ენამახვილი. ასეთი გახლავთ ქართველ ფალავანთა პატრიარქი მიხეილ თიკანაძე. ვინც კი თავისუფალი ჭიდაობის ტრფიალია და ხშირად ესწრება შეჯიბრებებს, ალბათ უნახავს იგი — მუდამ საქმიანი, აღელვებულიც, მშვიდიც და დაუოკებელიც.

...სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეხვედრები მოსკოვის „სპარტაკის" სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა. ასპარეზობის წინ თიკანაძეს ვკითხეთ, რას ფიქრობდა, რა გეგმები ჰქონდა, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელს. მას სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაჰკრა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ბიჭები კარგ ფორმაში არიან და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პირველ პრიზს ვუმიზნებთ. ეს ჯერჯერობით ჩვენში დარჩეს. იცოდე, ჩემი სიტყვები წინ არ დამხვდეს.

როცა სარბიელის სამივე ხალიჩაზე ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ სსრ კავშირის უძლიერესი ათლეტები, მიხეილს საერთოდ მოცლა არ ჰქონდა: შორიდან ამხნევებდა ქართველ ფალავნებს, „არალეგალურ" რჩევა-დარიგებას აძლევდა... ყველას შურდა მისი ასეთი შემართება, ასეთი დიდი ენერგია: ჩვენს წინ თითქოს სამოცდახუთ წელს მიღწეული ადამიანი კი არ იყო, არამედ მოუსვენარი ჭაბუკი.

როცა ჩვენმა ფალავნებმა ხელთ იგდეს ტურნირის სადავეები და ძლიერ მეტოქეებს რიგრიგობით გაუსწორეს ანგარიში, როცა შედარებით სუსტებმა სარბიელი დატოვეს და უძლიერესებს დარჩათ ბურთი და მოედანი, მაშინ კი შევატყვეთ მიხეილს მღელვარება.

— ჰაერი არ მყოფნის, — გვითხრა მან, როცა ხალიჩაზე შ. ლომიძე გამოვიდა ვ. გულიუტკინთან გადამწყვეტი ორთაბრძოლის ჩასატარებლად... მერე კი უნდა გარკვეულიყო, ვინ იყო უძლიერესი — ლ. თედიაშვილი თუ ი. შახმურადოვი.

ბოლო შეხვედრები ის იყო მთავრდებოდა და სულ მალე მსაჯთა კოლეგიას შეჯიბრების შედეგები უნდა შეეჯამებინა, რომ მიხეილს უფრო მეტი აღელვება დაეტყო: წამდაუწუმ დარბაზიდან გარეთ გადიოდა, წვიმიან ამინდში ბოლთასა სცემდა.

თავისუფალ მოჭიდავეთა ტურნირის შედეგები გამოაცხადეს, მთავარი პრიზი საქართველოს ნაკრებს გადაეცა. მაშინვე მ. თიკანაძეს შევხედე. და დახეთ საოცრებას! სულ ცოტა ხნის წინათ ეს ბობოქარი, მოუსვენარი ადამიანი წარმოუდგენლად გამოცვლილიყო: მოდუნებულიყო, დაღლილი გამოიყურებოდა. იფიქრებდი, ეს კაცი მიხეილია, თუ სხვა ვინმეო. დიახ, სამი დღის ნერვიულობამ, თავის ბიჭებზე გამუდმებით ფიქრმა, ათასნაირმა პროგნოზმა ეს კაცი სულ ერთიანად გამოცვალა. მაგრამ ეს იყო დროებით. თბილისში გამგზავრებისას კვლავ შევხვდით ჩვენი ფალავნების პატრიარქს და იგი ისევ ახალგაზრდა, მოფუსფუსე, სახემცინარი და ენამახვილი იყო.

...რას იფიქრებდა ლელობურთის მოყვარული ჭაბუკი, რომელიც მშობლიურ მაკვანეთში დილიდან ღამემდე ბურთს დასდევდა, რომ თავისუფალი ჭიდაობა გახდებოდა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენში ამ სახეობის განვითარებაში და აკი ღირსეულად დაუფასდა კიდეც ამაგი: სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მოიხვეჭა.

მ. თიკანაძე საბჭოთა ქვეყანაში ერთ-ერთი გამოჩენილი, უაღრესად მცოდნე, თავდადებული მწვრთნელია. მას საპატრაბახოდ სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ვ. ბალავაძის სახელიც ეყოფოდა. ამ დიდი სპეციალისტის უჩვეულო ნიჭისა და ალღოს წყალობაა, რომ ბალავაძე ლეგენდარულ ფალავნად იქცა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სარბიელზე ბრწყინვალედ გამოსვლისას ვახტანგს აღფრთოვანებული მაყურებლები ტაშს რომ უკრავდა, ეს ტაში მიხეილსაც ეკუთვნოდა.

განა მარტო ვ. ბალავაძე გამოიყვანა მან დიდი სპორტის გზაზე. რამდენი მოჭიდავე აღზარდა, ზეპირად შეიძლება ვერც კი გიპასუხოთ მიხეილმა, მაგრამ ხომ ვიცით, რომ მისი ხელმძღვანელობით დიდ ასპარეზზე გზა გაიკაფეს ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა ტ. ალიბეგაშვილმა, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონებმა ვ. არსენიანმა, ა. ჭელიძემ, ვ. გიგიაძემ, ს. ქარსაულიძემ და ბევრმა სხვამ, საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორებმა თუ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა.



ამჟამად მ. თიკანაძე ახალ საქმეს ჩაუდგა სათავეში. იგი ჭიდაობის ახალჩამოყალიბებული რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორია და, როცა ამას წინათ სკოლაზე ჩამოვუგდეთ საუბარი, ცალი თვალი მოჭუტა და ყურში ჩამჩურჩულა:

— გეგმები დიდი გვაქვს, მაგრამ ახლა ამაზე არაფერს გეტყვი. ვიცი ჟურნალისტების თავშეუკავებლობა, საქვეყნოდ გამომიყვანთ და მერე იმტვრიე თავი, მიხეილ!

დაე, ასე იყოს. ჯერჯერობით გულში დარჩეს, სააშკარაოზე ნუ გამოიტანს ბატონი მიხეილი თავის გეგმებსა და ზრახვებს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში კვლავაც დაიზრდებიან სახასხელო მოჭიდავეები, კვლავაც დაჰკრავს მსოფლიო სარბიელზე ქართველ ფალავანთა გამარჯვების მაუწყებელი მძლავრი ზარი.

დღეს მიხეილ თიკანაძის დაბადების 65 და სპორტული მოღვაწეობის 45 წლისთავს აღნიშნავს საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა. ჩვენ მას დასვენების, უზრუნველად ცხოვრების საშუალებას არ მივცემთ. მას ეს საერთოდ არ აძლევს ხელს. იგი ისევ მუდამ მოფუსფუსე, სახემცინარი, ენამახვილი, შრომისმოყვარე, დაუზარელია. დაე, მუდამ ასეთი იყოს საქართველოს ფალავანთა პატრიარქი.

ზ. ჯაფარიძე.

# ისევ მხოლოდ ოთხი გუნდი

საქართველოს მოცურავეებს სსრ კავშირის ხალხთა არც ერთ სპარტაკიადაში არ უსახელებიათ თავი ისე, როგორც უკანასკნელში. სამწუხაროდ, ამ წარმატებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვით თბილისის „სპარტაკის", „ბურევესტნიკისა" და არმიელთა სპორტული კლუბის წარმომადგენლებს.

სპარტაკელებსა და ბურევესტნიკელებს ამ ბოლო წლებში თუ რაიმე წარმატება მოუპოვებიათ, მხოლოდ გადაბირებულ და ნასესხებ მოცურავეთა ხარჯზე, არმიელთა სპორტულ კლუბში კი ცურვის სექცია საერთოდ არ არსებობს. ეს ორგანიზაციები ხშირად არიდებენ თავს შეჯიბრებებში მონაწილეობასაც. ასე მოხდა ახლახანს „შრომითი რეზერვების" 25-მეტრიან აუზ „სიხარულში" გამართულ ქალაქის პირად პირველობაშიც.

„სპარტაკს", „ბურევესტნიკსა" და ასკ-ს არც შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ჩაუტარებიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერც შემდგომ ასპარეზობაში გამოვლენ, ვინაიდან ცურვაში შემოღებული ახალი წესების მიხედვით, ის, ვინც რომელიმე ეტაპს გამოტოვებს, წლის პირველ ნახევარში ყველა ტურნირს ეთიშება.

მაშ ასე, ხანგრძლივი არდადეგების შემდეგ, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადიდან გრძელდებოდა, კვლავ აიღეს სტარტი „დინამოს", „შრომითი რეზერვების", „განთიადისა" და განათლების განყოფილების მოცურავეებმა.

შეჯიბრება ჭაბუკთა ორი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა და ორივეს ავტორი გახლდათ თბილისის 116-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, დინამოელი ჰ. ბაშარული: 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.07,0 და 2.24,2. თ. მძინარიშვილის აღსაზრდელი ბაშარული ასევე უძლიერესი იყო 100 მეტრზე ბატერფლაით (1.08,9) და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.30,4).

კარგად იასპარეზეს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლმა, 17 წლის ა. იორდანიშვილმა და 15 წლის დინამოელმა ს. მაკაროვმა: მხოლოდ მათ აჩვენეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგები. პირველმა წარმატებებს მიაღწია 200, 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (2.09,0; 4.35,7 და 18.15,6), ხოლო მეორემ — 800 მეტრზე ამავე სტილით შეჯიბრებაში (9.32,7).

ქების ღირსნი არიან განათლების განყოფილების წარმომადგენელი ირინე მარგიშვილი (100 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 1.08,2 და 5.28,5), განთიადელი ვ. პროსკურინა (100 და 200 მეტრზე ბატერფლაით — 1.17,2 და 2.56,6) და დინამოელი ნ. სუშნიკოვა (100 და 200 მეტრზე გულაღმა — 1.17,1 და 2.45,9). ამ ქალიშვილთა მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება პირველ თანრიგს.

თუ ამ შეჯიბრების ტექნიკურ მაჩვენებლებს შარშანდელ ანალოგიურ ასპარეზობას შევადარებთ, თვალში აშკარად გვეცემა შედეგების გაუარესება: მაშინ თბილისელმა მოცურავეებმა თითქმის ორი ათეული რეკორდი დაამყარეს. წელს კი...

განსაკუთრებით ცუდადაა საქმე ქალთა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. ამ სახეობებში სტარტზე საერთოდ არავინ გამოსულა.

უკან დახევა ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, შეჯიბრება სეზონის პირველი სტარტია და მეორეც, ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები, დინამოელები თ. ლეკვეიშვილი და ი. ლისეცკი, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ნაკრებთან ერთად მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან. სტარტზე ვერც რესპუბლიკის რეკორდსმენები ი. ზოტოვა („განთიადი"), ვ. გრიგორაშჩენკო („შრომითი რეზერვები"), დ. სირაძე და მ. ყულიჯანოვა (ორივე — „დინამო") ვიხილეთ.

ა. გურასაშვილი.

* * *





სურათებზე: მარცხნივ — ი. მარგიშვილი და ნ. სუშნიკოვა; მარჯვნივ — ნ. ბაშარული ასპარეზობისას.

ავტორის ფოტოები.

# XX რაიონული...

ამას წინათ გაიმართა „კოლმეურნის" სამტრედიის რაიონული საბჭოს XX კონფერენცია. დელეგატებმა მოისმინეს ამ საზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარის ჯ. ვაშაკიძისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ლ. ახობაძის საანგარიშო მოხსენებები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სოფლის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა. საანგარიშო პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლებით რაისაბჭოს რესპუბლიკაში რამდენიმეჯერ აქვს დაკავებული II და III ადგილები, იგი არაერთხელაა დაჯილდოებული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სამახსოვრო ალმებითა და საპატიო სიგელებით.

კარგად მუშაობენ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო და კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმების, ვაზისუბნისა და ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობების, ეწერის რუსთაველის სახელობის, დაბლაგომის, მელაურის ლესელიძის სახელობის, ნინუაკუთხის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც ხშირად ტარდება ამხანაგური შეხვედრები და შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიონის სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში ჯერჯერობით ნაკლიც არის. წიფლუბნის ცხაკაიას სახელობის, გამოჩინებულის წერეთლის სახელობის, გომის ცხაკაიას სახელობის, ზედა ეწერის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. ამ კოლმეურნეობებში თითქმის მთლიანად ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, არ ჰყავთ გუნდები, არა აქვთ სპორტული ბაზები, არ ჩაუტარებიათ შეჯიბრებები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა გ. კიზირიამ, ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ე. ბოცვაძემ, ეწერის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ს. შენგელიამ, საცხენოსნო კლუბის უფროსმა ნ. კაპანაძემ, ბაშის საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა ა. კუპუხიძემ, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგემ ვ. გოგრიჭიანმა და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი თ. მიქაძე.

კონფერენციამ „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში, მიიღო სათანადო ღონისძიება, აირჩია „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ჯ. ვაშაკიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ კი ლ. ახობაძე.

ვ. ჯონაძე.

სამტრედია.



ს უ რ ა თ ზ ე: ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი კუთხე. სპორტსმენებმა 18 ხუთსართულიან შენობაში დაიდეს ბინა — ყოველ ბლოკში 3-4 კაცი ცხოვრობს.
ნ. გერონინის ფოტო. (საქდესი).

◆ საპორო, 2 თებერვალი. ზამთრის XI ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე სსრ კავშირის გუნდის მედროშე იქნება გრენობლის „თეთრი თამაშების" ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მოსკოვის დინამოელი მოთხილამურე ვ. ვედენინი. ეს საპატიო მოვალეობა მას საბჭოთა დელეგაციის საერთო კრებაზე დაეკისრა.

◆ საპორო, 2 თებერვალი. აქ გაიმართა სპეციალური პრეს-კონფერენცია, რომელიც სამთომოთხილამურეთა მიერ სამოყვარულო სპორტის წესების ლარღვევასთან იყო დაკავშირებული. დისკვალიფიცირებულმა ავსტრიელმა სპორტსმენმა, 33 წლის კ. შრანცმა განაცხადა: „ჩემს ხანგრძლივ სპორტულ კარიერაში არაერთხელ მქონია წარუმატებლობა, მაგრამ ყველაზე მარცხიანი ჩემთვის 1972 წელი გამოდგა. ძალიან კი მსურდა ოლიმპიური ჩემპიონის წოდების მოპოვება". შრანცმა თანამემამულე სამთომოთხილამურეებს მოუწოდა არ წავიდნენ საპოროდან და ოლიმპიადაში იასპარეზონ. ავსტრიელმა სპორტსმენებმა ყურად იღეს თავიანთი ლიდერის სიტყვები — ისინი „თეთრი თამაშების" სტარტებზე გამოვლენ. ეს დაადასტურა ავსტრიის სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა კ.-ჰ. კლეემ. მან განაცხადა: „ავსტრიის დანარჩენმა სამთომოთხილამურეებმა არ უნდა დაკარგონ ოლიმპიური ჯილდოების მოპოვების შანსები".

## ● ● ოლიმპიური კალეიდოსკოპი

### მოციგურავეები და თაყვანისმცემლები

საწვრთნელ მეცადინეობაზე მიმავალი ამერიკელი ჰოკეისტები შუა გზაზე შეყოვნდნენ — ოლიმპიურ საციგურაოზე მოვარჯიშე ჰოლანდიელ ა. სხენკს ვერ მოაცილეს თვალი. „შეხედეთ, რა მსუბუქად მიხრიალებს ეს გოლიათი, — წამოიძახა ერთ-ერთმა მათგანმა კ. აჰერნმა. — მისგან ხომ დიდებული მცველი დადგებოდა!".

სხენკის თანამემამულეს, ევროპის ჩემპიონს ა. კეელენ-დეილსტრას მოსვენებას არ აძლევდნენ ჟურნალისტები: მათს შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა. ბოლოს გაბრაზებულმა ატიემ პრესის მუშაკებს უთხრა, რომ მისი 8 წლის გოგონა გოკიე უკვე ახლა საუცხოოდ ციგურაობს და სულ მალე სპრინტში ძალიან დიდ შედეგებს მიაღწევს. „აი, ვისგან უნდა აიღოთ ინტერვიუ".

### მედიკების გასაჭირი

ოლიმპიური სოფლის სამედიცინო სამსახურის შეფმა ტ. სატომ განაცხადა, რომ ოლიმპიადის ბევრი სტუმარი საპოროში ჩამოსვლის პირველ დღეებში გრიპით გახდა ავად. მან ოქვა, რომ განსაკუთრებით ბევრი პაციენტი (60 ოლიმპიელი) ჰყავთ ...სტომატოლოგებს. ეს აულ იოლი ასახსნელია: კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე „ძვირი" ექიმები ოლიმპიურ სოფელში პაციენტებს მუქთად მკურნალობენ.

# მოსკოვი ეპატიჟება XXI ოლიმპიადას

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პრომისლოვმა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ანდრიანოვმა წერილი გაუგზავნეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს. ამ ბარათით ისინი ოფიციალურად აცნობებენ სოკ-ს, რომ მოსკოვი 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს. მოსკოვის კანდიდატურამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა მთელს მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანს ა. პეგოვს პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **როგორია მოსკოვის უმთავრესი ოლიმპიური არგუმენტები?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს დედაქალაქში ოლიმპიური თამაშები მაღალ დონეზე ჩატარდება. მოსკოვი ხომ ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ქალაქია მსოფლიოში. აქ დანერგილია სპორტის 45 სახეობა, რეგულარულად მაღლდება დედაქალაქის სპორტსმენთა ოსტატობა. 130 მოსკოველს მოხვეჭილი აქვს ოლიმპიური თამაშების ჯილდო. მათ შორის არიან ვალერი ბრუმელი, იური ვლასოვი, ვლადიმერ კუცი, ვიაჩესლავ ივანოვი.

მოსკოვი არაერთხელ ყოფილა დიდ ასპარეზობათა სარბიელი, რომლებიც თავიანთი გაქანებით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ოლიმპიურ თამაშებს დავასახელოთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების, პროფკავშირთა სპარტაკიადების ფინალები. მაგალითად, ხალხთა V სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც შარშან გაიმართა, 7.382 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

ბოლო წლებში მოსკოვში ჩატარდა მსოფლიოს 8, ევროპის 20 ჩემპიონატი სპორტის საზაფხულო სახეობებში, თამაშები ჩვენი კონტინენტის თასებზე. ყველა უცხოელი სტუმარი ერთხმად აღნიშნავდა შეჯიბრებათა ჩატარების მაღალ ორგანიზაციას, მოსკოველთა სტუმართმოყვარეობას.

ჩვენს დედაქალაქს ახლაც ბევრი შესანიშნავი სპორტული ნაგებობა აქვს დიდ ასპარეზობათა მოსაწყობად.

● **თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა გვითხარით დედაქალაქის დღევანდელი სპორტული ბაზების შესახებ.**

— ამჟამად მოსკოვში 5000-ზე მეტი სპორტული ნაგებობაა, მათ შორის, 70 სტადიონი, 29 საცურაო აუზი, 240 საფეხბურთო მინდორი, 1200 სპორტულ თამაშობათა და ტანვარჯიშის დარბაზი, 6 სპორტის სასახლე.

ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დიდი სპორტული კომპლექსები. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი დიდი და პატარა სარბიელებით, სპორტის სასახლით, საცურაო აუზით არაფრით ჩამოუვარდება იმ სტადიონებსა და სპორტულ სასახლეებს, სადაც ოლიმპიური თამაშები ეწყობა. რეკონსტრუქცია გაუკეთდა ლუჟნიკის სტადიონის დიდი სარბიელის მძლეოსნურ სექტორებს. ლუჟნიკში შეიძლება გაიმართოს დიდი შეჯიბრებები ბევრ ოლიმპიურ სახეობაში, რომლებსაც ერთდროულად 160 ათასი მაყურებელი დაესწრება.

დიდი სპორტული კომპლექსები გვაქვს ლენინგრადის პროსპექტზე. აქ სპორტის 4 სასახლეა, 4 სტადიონი 80 ათასი მაყურებლისთვის, 3 საცურაო აუზი, დახურული მძლეოსნური მანეჟი და სხვა ნაგებობანი.

მოსკოვის მწვანე ზონაში არის „დინამოს" სასროლეთი, სადაც უკვე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი. გვაქვს 2 სასროლო სტენდი, ხიმკის ნიჩბოსნობის ცენტრი, საწყალოსნო სპორტული ბაზა სერებრიანი ბორში, კრილატსკოეს ტრასა საგზატკეცილო ველორბოლისთვის, პლანიორნაიას საცხენოსნო სპორტული ბაზა.

● **რა მიიღო სპორტულმა მოსკოვმა შარშან?**

— მწყობრში ჩადგა ბევრი ახალი სპორტული ნაგებობა, მათ შორის, 5 საცურაო აუზი, „სპარტაკის" დახურული მძლეოსნური მანეჟი, ცსკა-ს ცალოსნობის სასახლე, ტექსტილშჩიკში გაჩნდა ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის ახალი სტადიონი, რომლის ტერიტორიაზე აშენდა მძლეოსნური მანეჟი და საცურაო აუზიც. მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მარტო შარშან 36 ახალი სპორტული დარბაზი მიიღეს. ამჟამად მოსწავლეთა განკარგულებაშია 870 სასკოლო დარბაზი.

● **როგორია მოსკოვის სპორტული მშენებლობის უახლოესი პერსპექტივები?**

— პირველი მაისის რაიონში შენდება საწყალოსნო-სპორტული კომპლექსი, სადაც შესაძლებელი იქნება მოეწყოს მოცურავეთა, წყალბურთელთა, წყალში მხტომელთა შეჯიბრებები ამ ნაგებობის პირველი რიგი მწყობრში გაისად ჩადგება.

იზმაილოვოში მთავრდება ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობა. აქ იქნება 16 სპორტული დარბაზი, მძლეოსნური მანეჟი, საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები და ბევრი ღია მოედანი. მიმდინარეობს ახალი სანიჩბოსნო არხის მშენებლობა კრილატსკის წყალსაცავზე, სადაც გაისად უნდა ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ხიმკი-ხოვრინოში დაიწყო ცსკა-ს საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის მშენებლობა. დინამოელებიც აშენებენ დიდ დახურულ სპორტულ მანეჟს. მთავრდება უნივერსალური სპორტული დარბაზის დაპროექტება სპორტის 12 სახეობისთვის.

● **როგორი იქნება მოსკოვის სპორტული სახე 1980 წლისთვის?**

— სპორტის სპეციალისტებმა, არქიტექტორებმა, მშენებელმა ინჟინრებმა უკვე გამოთვალეს, რამდენი შენობის აგება და რეკონსტრუქცია დაგვჭირდება ამ დროისთვის. განზრახულია დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით დიდი სპორტული კომპლექსის შექმნა. აქ იქნება უნივერსალური დარბაზი 15 ათასი მაყურებლისთვის, საცურაო აუზი (15 ათასი), ველოტრეკი (10 ათასი) და სპორტული სარბიელი (30 ათასი ადგილი). მშვიდობის პროსპექტზე განზრახულია დახურული სტადიონის აგება, რომლის ტრიბუნები 40–45 ათას მაყურებელს დაიტევს.

გეგმაშია „ოლიმპიური სოფლის" მოწყობა იზმაილოვოში, სადაც მაღლივ საცხოვრებელ შენობათა ანსამბლი აიგება. ეს შენობები აღიმართება ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ახალი კომპლექსის გვერდით, რომლის სპორტული ნაგებობებიც ოლიმპიელებს დაეთმობა სავარჯიშოდ.

● **კიდევ რა სპეციფიკური დადებითი მხარეები აქვს მოსკოვს, როგორც ოლიმპიადის კანდიდატს?**

— ოლიმპიური შეჯიბრებების გარდა, ჩვენი სტუმრები ბევრ საინტერესოს ნახავენ. მოსკოვი ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, რომლის მოსახლეობაც ამჟამად 7 მილიონზე მეტია, ტერიტორია კი 87,5 ათასი ჰექტარი. იგი მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების უდიდესი ცენტრია. ქალაქში რუსული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლებია. საქვეყნოდ განთქმულია დიდი თეატრის საბალეტო და საოპერო სპექტაკლები, მოსკოვის ცირკის არტისტთა ხელოვნება, მოისეევის საცეკვაო ანსამბლი. რუსული და მსოფლიო ხელოვნების ნამდვილი საგანძურია ტრეტიაკოვის გალერეა, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ათასობით საზღვარგარეთელი ტურისტი ჩამოდის მოსკოვში ხელოვნების ფესტივალებზე — „რუსული ზამთარი" და „მაისის ვარსკვლავები".

ის სპორტსმენები და საერთაშორისო სპორტული მოძრაობის მოღვაწეები, რომლებიც მოსკოვში ყოფილან და დედაქალაქის სტადიონებზე გამართულ შეჯიბრებებს დასწრებიან, მოხიბლული არიან მოსკოველი მაყურებლის ობიექტურობით. ჩვენ გულით გვიხარია არა მარტო საბჭოთა სპორტსმენების წარმატება, არამედ ასევე მეგობრულად ვესალმებით გამარჯვებულ მეტოქეებსაც.

როგორც ცნობილია, სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა დასვა საკითხი — „გადავაქციოთ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად".

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება „მოსკოვის განვითარების გენერალური გეგმის თაობაზე". ამ გეგმის განხორციელება იმას ნიშნავს, რომ მოსკოვი კიდევ უფრო ლამაზი და დიდებული იქნება.

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ყველაფერს გააკეთებს, რათა თამაშები წარმატებით ჩატარდეს როგორც სპორტული ბატალიების, ისე მონაწილეთა, ოფიციალურ პირთა და სტუმრების მიღების მხრივაც.

# არბიტრები კვალიფიკაციას იმაღლებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებს ათდღიან შეკრებას მსაჯთათვის, რომლებიც ემსახურებიან რესპუბლიკის ჩემპიონატის, საქალაქო გათამაშებებისა და „ბ" კლასის გუნდების მატჩებს. სემინარს ესწრება საქართველოს რაიონებისა და ქალაქების 100-მდე არბიტრი, მეცადინეობა წარმოებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე.

გასული წლებისგან განსხვავებით სემინარის მუშაობის აქცენტი გადატანილია პრაქტიკულ მსაჯობაზე, რათა გამომუშავებული იქნას თამაშის წესების ერთიანი გაგება, ერთიანი მეთოდიკა.

მსაჯთა მოსამზადებელი სემინარის სამუშაო დღე შეიცავს 8 საათს და მეტსაც. საერთო ფიზიკური მომზადების, აგრეთვე, თეორიული და პრაქტიკული ვარჯიშის გარდა პროგრამაში შეტანილია ლექციები ფსიქოლოგიაში, მსმენელები არბიტრობენ შეხვედრებს, მათ შორის, ნორჩ ფეხბურთელთა მატჩებს თბილისის სპორტის სასახლის ტრადიციულ თასზე და თვითონაც თამაშობენ ფეხბურთს. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ ისეთი გამოცდილი მსაჯები, როგორიც არიან ო. ჟორდანია, ვ. შავდია, გ. ბაქანიძე, ა. მილჩენკო, ი. ბოჭორაძე.

ზ. ქვათაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მსაჯთა თეორიულ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ გ. ბაქანიძე და ი. ბოჭორაძე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.



# ბოლო მომენტში

კიევი, 1 თებერვალი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ზამთრის საკავშირო შეჯიბრების ერთობ საინტერესო მატჩი გამოდგა უკრაინისა და ესტონეთის ნაკრები კოლექტივების ნახევარფინალური შეხვედრა. მეტოქეთა ასპარეზობა იმდენად დაძაბული იყო, რომ მატჩის ბედი ბოლო მომენტში გადაწყდა: როცა ანგარიში იყო 4:4, უკრაინის გუნდის ვაჟთა წყვილმა (ა. ეგოროვი — გავრილოვი) ლეიუსისა და ლამპის დამარცხებით თავის კოლექტივს ფინალში მონაწილეობის უფლება მოუპოვა.

მეორე ფინალისტის ვინაობას გაარკვევს მოსკოვისა და რსფსრ-ს ნაკრები გუნდების შეხვედრა.

# ფრენბურთის ბადესთან

აშხაბადსა და ტულაში ამ დღეებში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო გათამაშების პირველი წრის I ტურის მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის. უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის სულ ერთი საგზურია, მას კი 16 პრეტენდენტი ჰყავს.

აშხაბადში გამოვიდა თბილისის „ბურევესტნიკი". პირველი მატჩი მას ჰქონდა ფრუნზელ თანაკლუბელებთან და იგი წარმატებით იქნა ჩატარებული — 3:0. მომდევნო შეხვედრამ კიევის „ბურევესტნიკთან" თბილისელებს მარცხი მოუტანა — 1:3.

ჩვენებმა კარგად ჩაატარეს შემდგომი 3 შეხვედრა და ზედიზედ გაიმარჯვეს: აშხაბადის „ზახმეტთან" — 3:1, ვოროშილოვგრადის „ისკრასთან" — 3:2 და აშხაბადის „ტაჯიკისტონთან" — 3:1.

5 ტურის შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკი" კიევის სტუდენტებთან და ვოროშილოვგრადის „ისკრასთან" ერთად ლიდერი იყო.

მაგრამ დადგა მეექვსე სათამაშო დღე. თბილისელთა მეტოქე იყო ალმა-ათის ადკ, ფაქტიურად, ყაზახეთის ნაკრები. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს გუნდი თბილისელთათვის მუდამ ძნელი მეტოქეა. მასთან წაგვიგია საკავშირო პირველობაში, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. ტრადიციამ ამჯერადაც იჩინა თავი: ალმა-ათის გუნდი დაწინაურდა პირველივე ორი პარტიის შემდეგ — 15:13, 15:11. მესამე პარტიაში თითქოს მოხდა სრული გარდატეხა, ვინაიდან ჩვენმა გუნდმა იგი „მშრალი" ანგარიშით მოიგო — 15:0. მაგრამ თბილისელებმა ამ წარმატების შენარჩუნება ვერ შეძლეს, წააგეს მეოთხე პარტია (13:15) და მასთან ერთად შეხვედრაც — 1:3. ამ დამარცხების შემდეგ თბილისელებმა უკვე აშკარად სუსტად ითამაშეს სვერდლოვსკის „ურალოჩკასთან" (0:3) და საბოლოოდ ქვეჯგუფში IV ადგილი დაიკავეს. I-II ადგილები 6-6 ქულით გაიყვეს ვოროშილოვგრადისა და კიევის ფრენბურთელებმა.

ტულის ქვეჯგუფში დიდი უპირატესობით ითამაშა ადგილობრივმა „ტრუდმა", რომელმაც 7 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადის „სპარტაკი" (6 ქულა) და რიგის „ავრორა" (5).

II ტურის მატჩები ჩატარდება ვოროშილოვგრადსა და პიარნუში 4-8 თებერვალს, ხოლო III, დასკვნითი ტურის თამაშები — ვიტებსკსა და სვერდლოვსკში (21-25 თებერვალი). ამის შემდგომ გამოვლინდება უძლიერესი ექვსეული, რომელიც ფინალს გათამაშებს ლენინგრადში (მარტი) და უმაღლესი ლიგის მონაწილეს დაასახელებს. თბილისის „ბურევესტნიკი" ვოროშილოვგრადში ითამაშებს.

• • •

დონის როსტოვში 1 თებერვალს დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის II ტური.

გათამაშების ლიდერმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ იოლად გატეხა ირკუტსკის „დინამოს" წინააღმდეგობა — 3:0. რიგის „რადიოტექნიკამ" [illegible] ანგარიშით მოუგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა [illegible] თასის „ბურევესტნიკს", ხოლო ხარკოვის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა მარდუს (ესტონეთი) „კალევი".

ვოროშილოვგრადის „ზარიამ" მოსკოვის „ბურევესტნიკთან" დაძაბულ შეხვედრაში შეძლო გამარჯვების მოპოვება — 3:2.

ფ. ლეონიძე.

## ახალი ამბები

● **ტალინი, 1 თებერვალი.** ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩის IX პარტიაც ყაიმით დამთავრდა: 25 წუთში სულ 19 სვლა გაკეთდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 4,5:4,5.

● **სოჩი, 1 თებერვალი.** ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორმა ა. ჩუჩელოვმა (ესტონეთი) დღეს აქ დამთავრებულ ზამთრის საკავშირო რეგატაში „სოლინგის" კლასში გამარჯვებას მიაღწია — ჩამოიტოვა „ვარსკვლავის" კლასში ოლიმპიური ჩემპიონი თ. პინეგინი (მოსკოვი). ეს ორი სპორტსმენი დიდი ხანი არაა გამოდის „სოლინგის" ტიპის იახტებით. თუ შეჯიბრების პირველ დღეებში ამინდმა ბევრი საზრუნავი შეუქმნა მოასპარეზეებს (ნიავიც კი არ ჰქროდა), ბოლო დღეს, როგორც იქნა, დაბერა ქარმა. ეს ვითარება კარგად გამოიყენა ვ. ვასილიევმა (უკრაინა), რომელმაც ყველას აჯობა „ვარსკვლავის" კლასში. სხვა კლასებში გაიმარჯვეს: ვ. პოტაპოვმა (რსფსრ, „ფინი"), ი. ანისიმოვმა (რსფსრ, „ურჩხული"), ვ. ლეონტიევმა (მოსკოვი, „მფრინავი ჰოლანდიელი"), ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. მანკინმა (სევასტოპოლი, „ტემპესტი"). „სოჭის ზამთრის რეგატა წლეულს პირველი შეჯიბრებაა — ასე ადრე ჩვენ არასდროს დაგვიწყია მზადება, მაგრამ წლევანდელი სეზონი ხომ განსაკუთრებულია — ოლიმპიური გახლავთ", — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ო. ჩეკუშკინმა.

● **ბრატისლავა, 1 თებერვალი.** გუშინ აქ გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრების კენჭისყრა ქალთა გუნდებისთვის. კიევის „სპარტაკის" მეტოქე იქნება სლოვაკიის ჩემპიონი — ნიტრის „პლასტიკა". პირველი მატჩი გაიმართება კიევში 27 თებერვალს, განმეორებითი — ჩეხოსლოვაკიაში 5 მარტს.

## „გულითადი ჭაბუკი"

...პელეს პირადმა შოფერმა მკვეთრად დაამუხრუჭა გაკრიალებული ცისფერი „მერსედესი" სან-პაულუს განთქმულ პროსპექტზე — რუა აუგუსტაზე მდებარე კინოფირმა „რამონდინის" ვესტიბიულთან. პელემ არც კი მოუცადა მანქანის გაჩერებას — სხარტად გადმოხტა, ასევე ენერგიული ნაბიჯით გადაჭრა ტროტუარი, ორ-ორი საფეხურის გამოტოვებით დაფარა ვესტიბიულის საკმაოდ გრძელი კიბე და მოუბოდიშებლად შევიდა დირექტორის კანცელარიაში, სადაც მას ათობით ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი ელოდა.

პელემ თვითონ დაადგინა შეხვედრის დრო, დაგვიანებით კი მხოლოდ მან დაიგვიანა... აშკარად ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა, გაუთავებლად იხდიდა ბოდიშს დაგვიანებისთვის.

ეს არ წააგავდა ისეთ პრეს-კონფერენციებსა და შეხვედრებს, რომლებიც უწინ პელეს ათასობით ჰქონია. ამჯერად მას უნდა ესაუბრა კინოსაქმოსნებთან თავისი როლის შესახებ ფილმში „ა მარჩა" („მარშით"), გასცნობოდა შემოთავაზებულ ახალ როლს, აგრეთვე, დაემოწმებინა და ეცნობებინა შეკრებილთათვის, რომ ახლო მომავალში იგი დაემშვიდობება თავის მშობლიურ კლუბ „სანტოსსაც" ისევე, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გამოეთხოვა ბრაზილიის ნაკრებს.

... დღეს პელე არა მარტო შესანიშნავ ფეხბურთელად გვევლინება, არამედ დიდ მრეწველადაც. მაგრამ იგი აპირებს გადასვლას ისეთ სფეროში, რომელსაც თავისი უნარის მიხედვით უფრო სარფიანად მიიჩნევს: ფილმში! ამავე დროს აშკარაა, რომ იგი დაინტერესებულია არა მარტო ხელოვნების პატივმოყვარეობით, არამედ ამ სფეროს შემოსავლიანობითაც. პელე ხომ ცნობილია, როგორც ფულის მოყვარული. სწორედ ამიტომ მონათლა იგი ფეხბურთელი კოლეგებისგან არც თუ ისე სასიამოვნო მეტსახელებით. გასაკვირი არ არის, რომ პელეს სწორედ ამის გამო იზიდავს კინო (აქვე აღვნიშნავთ, რომ პელე ასევე დაუინებით ცდილობს შეძენილი ფულის ხარჯვას კეთილი და საქველმოქმედო საქმეებისთვის. ასე რომ, პელე საოცრად უნარიანად ახერხებს სიმდიდრისადმი დამოკიდებულების ამ ორი ცნების სინთეზს).

პელემ უკვე სამ ფილმში მიიღო მონაწილეობა. პირველი ფილმია „რიი პელე" („მეფე პელე"), სადაც პელე თავის თავს ასახიერებდა. მეორე ფილმი „ოს ესტრანოს" („უცხოელები") გადაღებული იყო მეტწილად ტელევიზიისთვის და პელემ მასში დეტექტივი გაითამაშა. პელეს მესამე გამოსვლა იყო ფილმში „ა მარჩა" (აქ მოთავსებული სურათები სწორედ ამ ფილმიდანაა აღებული. აქვეა ამ ფილმზე მუშაობის ერთი მომენტიც). რეჟისორ ოსვალდ სამპაიას ხელმძღვანელობით პელემ შექმნა (ამბობენ, უჩვეულო წარმატებითო) ბრაზილიელი ხალხის თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირის სახე.

ამჟამად პელე გულმოდგინედ სწავლობს როლს თავისი რიგით მეოთხე ფილმისთვის „ჩიკო ბონდადე" („გულითადი ჭაბუკი"). ეს ფილმი მოგვითხრობს ანგოლიდან ჩამოყვანილი შავი მონის თავგადასავალზე, რომელმაც მუყაითი და თავგამოდებული შრომით გაინთავისუფლა თავი, გახდა ძველი ბრაზილიური სპორტის სახეობის — კაპოეირას მეფე. სპორტის ეს ეროვნული სახეობა შეიცავს ფეხბურთის, კარატესა და მისი განშტოებების ბევრ ელემენტს და სპორტსმენისგან მოითხოვს დიდ მოხერხებულობას, სისწრაფეს და ფიზიკურ ძალას (პელეს ამ მხრივ, როგორც იტყვიან, თავი ქუდში აქვს).

პელე მთელის არსებით არის ჩაქსოვილი როლში. რეჟისორი და გადამღები ჯგუფის წევრები ერთხმად აცხადებენ, ასეთი მუყაითი, დამჯერე და დისციპლინიანი მსახიობი ჯერ არ გვყოლიაო. რეჟისორმა სამპაიამ აღნიშნა: „ვინც ერთხელ მაინც დაიდგა მეფის გვირგვინი, იგი არასოდეს დაკარგავს დიდებულებას. ერთ თვეში პელე კაპოეირას ნამდვილი ოსტატი იქნება!"

... მაგრამ ფეხბურთი? ამ მხრივ პელე ჟურნალისტებთან გასაუბრებისას მაინცდამაინც ოპტიმისტური არ ყოფილა. სასტიკად გააკრიტიკა თავისი კლუბის ხელმძღვანელობა, რომელიც საზღვარგარეთულ სენსაციურ ტურნეებს ანიჭებს უპირატესობას ადგილობრივ შეჯიბრებებთან შედარებით.

„მე იძულებული ვიყავი წელიწადში 110-მდე მატჩში მეთამაშა. და განა გასაკვირია, რომ წლეულს (იგულისხმება 1971 წელი. — რედ.) გაზაფხულზე მოვტყდი? — თქვა პელემ. — კლუბის ხელმძღვანელები ქოროვაჭრობენ, იყიდეს კაზინო, ხოლო შემდეგ იგი მდიდრულ, არაფრისმაქნის კლუბად გადააკეთეს. მაგრამ ყოველივე ეს ხომ დიდძალი თანხა დაჯდა. ამისთვის კლუბის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ გაეყიდათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი. ამჟამად „სანტოსის" მატჩები ეყრდნობა კლოდოალდოზე, ედუზე და ჩემზე. ეს კი საკმაოდ ცოტაა... მალე, ალბათ, სხვები გაგვასწრებენ და ისევ საშუალო დონის გუნდი გვეყოლება, როგორიც ოდესღაც გვყავდა".

კონკრეტულად: როგორიც პელეს ერამდე!








ჟურნალ „სტადიონიდან" (ჩეხოსლოვაკია)

## ისევ XI „თეთრი თამაშების" ირგვლივ

### ჩემპიონები და ვეტერანი

გრენობლის 14 „ოქროს ოლიმპიელი" აპირებს საპოროში თავისი საჩემპიონო ტიტულების დაცვას. ესენი არიან: მოთხილამურეები ჰ. გრიონინგენი, ო. ელეფსეტერი (ორივე — ნორვეგია), ფ. ნონესი (იტალია), ბიატლონისტი მ. სოლბერგი (ნორვეგია), „მფრინავი მოთხილამურე" ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია), ორშიდელი ფ. კელერი (გფრ), მოციგავეები მ. შმიდი (ავსტრია), კ. ბონზაკი (გდრ), ე. ლეჰნერი, ბობსლეისტი ლ. დე პაოლისი (ორივე—იტალია), მოციგურავეები ე. კელერი (გფრ), კ. შეკერკი (ჰოლანდია), ი. ჰიოგლინი (შვეცია), ლ. ტიტოვა (სსრ კავშირი).

მაგრამ ოლიმპიადაზე, ჯერ კიდევ მის გახსნამდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა გახდა ბაკურიანელი „მფრინავი მოთხილამურე", 37 წლის კ. წაქაძე. საპოროს „თეთრი თამაშები" მისთვის მეოთხე ოლიმპიადა იქნება. „ხუთი რგოლის" ქვეშ კობას დებიუტი 1956 წელს ჰქონდა, როცა 22 წლისა იყო. მას შემდეგ მან მხოლოდ გრენობლის ოლიმპიადა გამოუშვა.

### ახლა — 131

XI „თეთრი თამაშების" დაწყების წინადღით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები გახდნენ ზედა ვოლტა, მავრიკიის კუნძული, სომალი, იემენი და ლესოტო. ახლა სოკ-ი 131 სახელმწიფოს აერთიანებს.

საპორო, 2 თებერვალი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე


თბილისის სპორტის სასახლე

4-6 თებერვალი

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის სახელობის თასზე.



მონაწილეობენ: ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იაპონიის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს გუნდები.

დასაწყისი 12 და 18 ს.


ИНДЕКС 66448 ! საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11. უე 04431